**ხელშეკრულებაN MDF/CON/NCS/083-2013**
სახელმწიფოშესყიდვისშესახებ

ქ. თბილისი „18„ოქტომბერი"2013წ.

**ერთის მხრივ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი,** (შემდგომში (შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბ-ნი თეიმურაზ მურღულიას სახით და მეორეს მხრივ **შპს „იუ ჯი თი"** (შემდგომში მიმწოდებლი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ბ-ნი **ერმილე სულაძის** სახით, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის მე-4 პუნქტის, „სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 01 მარტისN218 განკარგულებისა და „სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 7 მარტის N8 ბრძანების საფუძველზე, 2013 წლის 12 მარტს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის (**CON130000012**) შედეგად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

## 1. გამოყენებულიტერმინებისგანმარტებები

ხელშეკრულებაშიგამოყენებულტერმინებსაქვთშემდეგიმნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში –„ხელშეკრულება") –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველადოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება"–საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრივალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" –კალენდარულიდღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"– ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი"–პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულებისსაგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N1-ით გათვალისწინებული 10 ცალი სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი (ლეპტოპი) (შემდგომში საქონელი)

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **7890.00 (შვიდი ათას რვაასოთხმოცდაათი)** ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3.3 საქონლის ერთეულის ფასი, ძირითადი მახასიათებლები, რაოდენობა მოცემულია დანართში N1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 4. მხარეთავალდებულებები

4.1 მიმწოდებელივალდებულია:

ა)უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართიN1-ში აღნიშნული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 45 (ორმოცდახუთი) დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

ბ)განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

გ)განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველივალდებულია:

ა)უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 5. ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ხოლო მიწოდებული საქონელი უნდა იყოს იდენტური ხელშეკრულების დანართი N1-ში აღნიშნული მაჩვენებლების, რომელიც სრულად შეესაბამება კანსოლოდირებულ ტენდერში (**CON130000012**) წარმოდგენილ მახასიათებლებს.

5.2 ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში, (**CON130000012**) კონსოლიდირებულ ტენდერში წარდგენილი პირობების შესაბამისად.

## 6. ხელშეკრულების პირობების შესრულებისკონტროლი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლისმიწოდების დროს, ისე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი.

## 7. საქონლისმიღება-ჩაბარებისწესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით

7.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი არის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ბ-ნი დავით გოგლიძე.

## 8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა–ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა–უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამის დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს

მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმშემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11მუხლის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ისოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.02%-ისოდენობით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 12. დავებისგადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედიკანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებები სშესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 14. ხელშეკრულებისმოქმედებისვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათიკონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით დასხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი –შემსყიდველს.

## 17. მხარეთა რეკვიზიტები:

| "შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი" | შპს „იუ ჯი თი" |
| ს/კ 206074193 | ს/კ 204 892 964 |
| ქ.თბილისი აღმაშენებლის გამზირი N150 | ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №17ა, |
| ს/ს ბანკი რესპუბლიკა | სს „საქართველოს ბანკი" |
| ბანკის კოდი № 220 101 757 | ბანჯის კოდი: BAGAGE22, |
| ა/ა GE34BR0000010975120582 | ა/ა GE88BG0000000261644601, |
| აღმასრულებელი დირექტორი | |
| ელგუჯა ხოკრიშვილი | გენერალური დირექტორი<br>ერმილე ხუციშვილი |

7890.00 ლარი

„დანართი №1“

| CPV | შესყიდვის ობიექტის დასახელება | შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებელი | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 30213100 | სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი (ლეპტოპი) HP Pro Book 4540s Notebook PC | Display: 15.6 LED HDSVA AG FCAM<br>Camera:WEBCAM integrated 720p HD<br>OS: SuSELinuX<br>Processor: Intel Core i5-3230M Dual core<br>Memory: 4GB 1333MHz DDR3 1DM<br>HDD: 320GB 5400RPM<br>ODD: DVD+/-RW SM DL<br>Battery: 6 Cell 47 WHr<br>Communication: Ralink 802.11bgn 1x1 +BT WW<br>AC Adapter:65 Watt Smart nPFC AC | ცალი | 10 | 789,00 | 7890.00 |
| | | სულ: | | | | |

“შემსყიდველი“
სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“

აღმასრულებელი დირექტორი

ელგუჯა ხოკრიშვილი

„მიმწოდებელი“
შპს „იუ ჯი თი“

,

გენერალური დირექტორი
ერმილე სულაძე